**კომკავშირის კომიტეტებმა კვლავაც უნდა სრულყონ სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, აამაღლონ ახალგაზრდების პოლიტიკური სიფხიზლე, კიდევ უფრო მეტად განამტკიცონ კავშირი ჯარის ქვეგანაყოფებთან, გააუმჯობესონ მუშაობა წვევამდელ და გასაწვევ ახალგაზრდებთან. კომკავშირის აქტუალური ამოცანაა ყოველმხრივ უწყობდეს ხელს ახალგაზრდა თაობის ფიზიკურ წრთობას, ქალიშვილებსა და ჭაბუკებს შორის მასობრივი სპორტული მოძრაობის განვითარებას.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილიდან რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს, ყველა კომკავშირელს, ქალიშვილსა და ჭაბუკს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 78 (7389)

23 1983 წ. აპრილი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან




## სპარტაკიადის პირველი ჩემპიონები

**რსფსრ-ის** ნაკრები წარმატებით გამოვიდა რადიოგრამების მიღებასა და გადაცემაში გამართულ შეჯიბრებაში და სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის პირველი გამარჯვებული გუნდი გახდა. II ადგილზე გავიდნენ ბელორუსიის სპორტსმენები, მესამეზე — უკრაინელები.

სპარტაკიადის სტარტზე ორი საკავშირო რეკორდი დამყარდა. მისი ავტორები არიან 22 წლის ომსკელი ვ. რაკინცევი (იგი რადიოგრამას იწერდა საბეჭდი მანქანით) — 833,4 ქულა და მინსკელი ვ. მაშუნინი (ხელით), რომელმაც განაახლა 11 წლის წინათ დამყარებული რეკორდი. მისი შედეგია 857,4. მაშუნინმა აჩვენა აგრეთვე ქვეყნის უმაღლესი მიღწევა ელექტრონული გასაღებით გადაცემაში — 245,9 ნიშანი წუთში.

ქალთა შორის სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს სპორტსმენმა მოსკოვის ოლქიდან ნ. კაზაკოვამ (საბეჭდი მანქანით) — 632,4 და გომელელმა ე. სვირიდოვიჩმა (ხელით) — 650,4.

რადიოსპორტის სახეობათა შორის ყველაზე მასობრივი შეჯიბრებები რადიოგრამების მიღებასა და გადაცემაში იმართება. მას საფუძველი ჩაეყარა 1946 წელს. 1962 წელს რადიოსპორტი შეიტანეს ერთიან საკავშირო სპორტულ კლასიფიკაციაში, 1967 წლიდან კი რადიოგრამის მიღებისა და გადაცემის ოსტატები მონაწილეობენ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში ტექნიკურ და სამხედრო-გამოყენებითი სპორტის სახეობებში.

(საკდესი).

## საქართველოს სპორტკომიტეტში

**გაიმართა** საქართველოს VIII საგაზაფხულო სპარტაკიადის შტაბისა და მთავარ მსაჯთა კოლეგიის სხდომა, რომელმაც მოისმინა და დაამტკიცა ჩატარებული ფინალური შეჯიბრებების შედეგები.

აღინიშნა, რომ ასპარეზობები ძირითადად ჩატარდა მაღალ სპორტულ და ორგანიზაციულ დონეზე, ყველგან იგრძნობა ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების, სპორტკომიტეტების, აქტივის ზრუნვა და მხარდაჭერა. ითქვა ისიც, რომ ზოგიერთ შეჯიბრებაზე გამოიყვანეს მოუმზადებელი სპორტსმენები (მაგალითად, კრივში).

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაციები იმის შესახებ თუ როგორ მიმდინარეობს ფინალური სტარტებისთვის მზადება ცხენოსნობაში, კლასიკურ ჭიდაობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ფარიკაობასა და ბალახის ჰოკეიში.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **შ. ქველიაშვილმა.**





**რუსთავის** მახლობლად, საქართველოს სსრ დოსააფის ავტომოტოსპორტის რესპუბლიკურ ბაზაზე, გაიმართა მოტობურთელთა ასპარეზობა რესპუბლიკის თასზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის „ივერია“, ბათუმის „ავტომობილისტი“, ქუთაისის „კოლხეთი“, თელავის „ალაზანი“ და თბილისის „პოლიტექნიკოსი“.

საქართველოს თასი დაისაკუთრეს „ივერიის“ სპორტსმენებმა.

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** გუნდი „ივერია“, რომელმაც მოიპოვა საქართველოს თასი მოტობურთში; მექანიკოსი გ. გავრილოვი, მეკარე ი. ფაცია, მწვრთნელი ნ. შონია, მოტობოლისტები — თ. ჩიკვაიძე, ვ. თაზიშვილი, ა. მარუშაშვილი, ტ. მაზანიშვილი და ლ. ნარიყაშვილი; „ავტომობილისტისა“ და „კოლხეთის“ გუნდების შეხვედრის მომენტი.

გ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დოსააფელ სპორტსმენებთან

## საპასუხისმგებლო ასპარეზობათა წინ

**საქართველოს** დოსააფის სპორტტექნიკური კლუბის ტერიტორიაზე სტანდარტული და სარბოლო მანქანების სიმრავლეა. დროდადრო ისმის მოტორების გუგუნი. მრბოლელები გულდასმით „მკურნალობენ“ თავიანთ მანქანებს. 23-24 აპრილს აქ გაიმართება სსრ კავშირის ჩემპიონატი ავტოსპორტში (პირველი ეტაპი).

ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ სსრ კავშირის ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს ავტოსპორტში, რუსეთის ფედერაციის დამსახურებულ მწვრთნელს **იური ანდრეევს.**

საქართველოს სარბოლო ტრასების „დასაზვერად“ ჩამოვედით, — ამბობს მწვრთნელი. — ჩვენს ქვეყანაში სამი საუკეთესო წრიული ტრასაა: კიევში, რიგასა და თბილისში. მათ შორის თქვენი ტრასა საუკეთესოდ მიმაჩნია, მაყურებლისათვის მოხერხებულია — ხელისგულივით მოჩანს ოთხ კილომეტრზე მეტი სიგრძის ტრასის თითქმის ყველა ვირაჟი, თანაც მთელი წლის მანძილზე შეიძლება მასზე ვარჯიში. გზის ზედაპირიც საკმაოდ სწორია.

პირველ ეტაპზე იასპარეზებს 1300 კუბური სანტიმეტრის მოცულობისძრავიანი სარბოლო მანქანა „ვოსტოკი“, 1600 კბ. სმ-ის ძრავიანი მესამე ფორმულა და სტანდარტული „ჟიგულების“ მეშვიდე საერთაშორისო კლასი (ა-2), აგრეთვე „ჟიგულებისა“ და „ვოლგების“ მერვე და მეათე გაერთიანებული კლასი (ა-2). მეორე ეტაპი ზუსტად ერთი თვის შემდეგ რიგაში გაიმართება და ამით დამთავრდება სსრ კავშირის ჩემპიონატი. სპარტაკიადის წელს მესამე სავალდებულო ეტაპი აღარ ჩატარდება. პირველ ეტაპის თითოეულ კლასში 30 მრბოლელი გამოვა. აქედან მეორე ეტაპზე 25 მრბოლელი გააგრძელებს პაექრობას.

კვირას, 24 აპრილს, თქვენს შესანიშნავ საავტომობილო რბოლის სტადიონზე მოსული მაყურებელი საინტერესო სპორტულ ორთაბრძოლებს იხილავს. სტარტზე გამოვლენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ავტომრბოლელები: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ესტონელი ტომას ნაპა (მესამე ფორმულა), ქვეყნის ნაკრების წევრი, კიეველი ალექსანდრე მედვედჩენკო („ვოსტოკი“), სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ტოლიატელი ნიკოლოზ ბახმურივი (მეშვიდე კლასი — „ჟიგულები“), ცნობილი ქართველი მრბოლელი გურამ დგებუაძე (მესამე ფორმულა), თქვენი მოსკოველი თანამემამულე, სსრ კავშირის ნაკრების წევრი სერგო დადვანი (მეშვიდე კლასი — „ჟიგულები“). სხვათა შორის, ეს უკანასკნელი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია და მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში მუშაობს. ტრასაზე სხვა უძლიერეს ავტომრბოლელებსაც ვიხილავთ.

— წარმატების მოსაპოვებლად რა უფრო მთავარია — მანქანის მზადყოფნა თუ მრბოლის მაღალი ტექნიკა?

— ურთმანეთოდ, ბუნებრივია, წარმატების იმედი არ უნდა გვქონდეს, მაღალი შედეგის მისაღწევად მრბოლელი მანქანის ყველა ჭანჭიკს უნდა გრძნობდეს. ის კარგი მექანიკოსიც უნდა იყოს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მომზადებას, რბოლის ტაქტიკურ გაანგარიშებას. თვით მანქანაც უნაკლოდ უნდა იყოს გამართული. აქვე უნდა ითქვას, რომ ისეთი კარგი სპორტული ბაზების მქონე რესპუბლიკას, როგორიც საქართველოა, ავტოსპორტში უკეთესი მიღწევები უნდა ჰქონდეს. იმედი მაქვს, ახლო მომავალში ქვეყნის ნაკრები გუნდისათვის საიმედო რეზერვს მოამზადებენ ქართველი ავტოსპორტის მესვეურები.

საუბარი ჩაიწერა **ბ. ბარჯაძემ.**

## ზემარათონული გარბენი

**ლენინგრადი,** 21 აპრილი. ლეგენდარული „ავრორას“ საცეცხლეში ანთებული ჩირაღდანი წაიღეს თან ტრადიციული ზემარათონული გარბენის ლენინგრად — ვიბორგის მონაწილეებმა. 195 კილომეტრი სიგრძის მარშრუტი გაივლის ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ადგილებში. ლენინის დაბადების 113-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ამ შეჯიბრებაში, რომელიც ამჯერად მეთექვსმეტედ ტარდება, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის 52 მორბენალი მონაწილეობს. (საკდესი).

## წრიულ მოტორბოლაში

**მაისის** ბოლოს კიევში გაიმართება საკავშირო პირველობის პირველი ეტაპის შეჯიბრებები საგზატკეცილო წრიულ მოტორბოლაში. სწორედ ამ შეჯიბრებებისათვის მზადების ნიშნით ჩატარდა საქართველოს 1983 წლის პირველობა საგზატკეცილო წრიულ მოტორბოლაში, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის და რესპუბლიკური სპორტულ-ტექნიკური კლუბის მოტომრბოლელები.

ქალაქებს შორის გუნდური პირველი ადგილი თბილისელებმა მოიპოვეს — 98 ქულა, ხოლო კლასების მიხედვით გაიმარჯვეს: ქალებში — 175 კუბიკური სანტიმეტრის მოცულობისძრავიანი მოტოციკლით სვეტლანა ველიკანოვამ (თბილისის სპორტტექნიკური კლუბი „შევარდენი“). ჭაბუკთა შორის უძლიერესი იყო არისტოტელ ასლანოვი (ქუთაისი), ვაჟებში — პეტრე კალჩენკო (რუსთავი).

## 23–24 აპრილი — ნათესავების და ახლობლების ხსოვნის დღე

იხ. მე-2 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 23-24 აპრილი – ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის დღეა

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის დღის დაწესების თაობაზე ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა პრესაში, ტელევიზიაში. არაერთგზის ითქვა, რომ ასეთი დღე მართლაც ორგანულად ესადაგება ლამაზ ქართულ ტრადიციებს. მრავალი წერილი, სურვილი, ლექსი მიიღო ამ დღეებში ჩვენმა სარედაქციო ფოსტამ, ყველგან გამოკვეთილია აზრი, რომ ახლობელთა, ნათესავების ხსოვნის, მოგონების დღის დაწესება უთუოდ კარგ, მყარ ტრადიციად იქცევა საქართველოში. და რომ ეს ასე მოხდეს, საჭიროა ლამაზად ჩავატაროთ პირველი დღე.

**სწორედ ამ მიზნით საქართველოს სპორტკომიტეტმა გადაწყვიტა 23 აპრილს თბილისში, 300 არაგველის ობელისკთან, 11 საათზე მოაწყოს გარდაცვლილ სპორტსმენთა ხსოვნისადმი მიძღვნილი შეკრება.** აქ მოვლენ სპორტის ვეტერანები და ახალგაზრდა სპორტსმენები, სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები, რომლებიც შემდეგ ინახულებენ სპორტსმენთა საფლავებს, თბილი სიტყვით მოიგონებენ მათ, მოუვლიან, ყვავილებით შეამკობენ გარდაცვლილთა სამარადისო სავანეს...

ქართული სპორტის მოყვარულები, ახალგაზრდა სპორტსმენები მოწიწებით ხრიან თავს იმ ადამიანთა ხსოვნის წინაშე, რომლებმაც არაერთი სასახელო ფურცელი ჩაწერეს ქართული და საბჭოთა სპორტის ისტორიაში. ამაგდარი, დამსახურებული ადამიანები დღეს აღარ არიან ჩვენს გვერდით, მაგრამ მათ მიერ გაკვალულ გზას ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი მიჰყავს მსოფლიო აღიარებისკენ.

ამ დღეებში პატივისცემით გავიხსენებთ ჩვენგან ბრმა შემთხვევის გამო უდროოდ წასულთა სახელებს, მათ საქმეებს, ასევე მოვიგონებთ ჩვენი სპორტული მოძრაობის რიგით ჯარისკაცებს, რომლებიც ჩუმად და უპრეტენზიოდ მუშაობდნენ, დღენიადაგ ილვწოდნენ სამშობლოს სასიკეთოდ.

...ბევრი მეგობარი ჰყავდა გორის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ედუარდ კოშკაძეს. გორშიც, თბილისშიც, საქართველოს სხვა კუთხეებშიც...

მის მიერ გავლებულ სიყვარულისა და მეგობრობის ხნულზე მეტყველებს რედაქციაში მოსული მახარაძელი ა. ჩანჩიბაძის წერილი-მოგონება:

**შუა გზამდეც ვერ მიაღწია, ბედისწერამ იმსხვერპლა, არადა, როგორ შეჰხაროდა სიცოცხლეს.**

**სული სპეტაკი ჰქონდა და ლამაზი სურვილებით სავსე. ჭირისუფალი და ქომაგი იყო ქართული სპორტის, გვერდში გვედგა საიმედო მეგობრად და იმედად.**

**მან გადო მეგობრობისა და სიყვარულის ხიდი მახარაძელ და გორელ სპორტსმენებს შორის, ყველა ჩვენი შეხვედრა ახარებდა და სიამით ავსებდა.**

**კაცთმოყვარე და კეთილშობილი, ლამაზი თვისებებით სავსე მიჰყვებოდა ცხოვრების გზას. გულმართალი იყო. სევდით აგვავსო მისმა უდროოდ წასვლამ. ხსოვნა დაგვიტოვა, რომელსაც დიდხანს ვაცოცხლებთ ჩვენს გულებში.**

მოგონება... რაოდენ პატივისცემა, სიყვარული და სითბო იგრძნობა **ედიშერ გიორგაძის** ამ სტრიქონებში:

**ჩემი თაობის უდროოდ წასულ მოკრივეთაგან ვიგონებ შესანიშნავ სპორტსმენსა და პიროვნებას ენვერ ქელბაქიანს, რომელიც ღირსეულად იბრძოდა რინგზე და ცხოვრობდა ღირსეული ადამიანის ცხოვრებით. ერთ დროს პროფესიონალ მსახიობს არტისტიზმი გამოჰყვა რინგზე და პირად ცხოვრებაშიც. სწორედ ამ არტისტიზმით იყო აღბეჭდილი მისი მოღვაწეობაც კრივის პროპაგანდის დარგში. ენვერ ქელბაქიანს არც იმის შემდეგ დაუტოვებია უყურადღებოდ თავისი საყვარელი სპორტის სახეობა, როცა თავად დასტოვა რინგი — განუშორებელი მოტოციკლით ჩამოუვლიდა ხოლმე თბილისის კრივის დარბაზებს. სიკვდილსაც მისთვის ჩვეული იუმორით, ღირსეულად შეხვდა. ერთადერთი პატივი, რომელიც მას მივაგე, ის იყო, რომ ჩემ მონოგრაფიას „კრივი და მოკრივენი" ასეთი მიძღვნა გავუკეთე: „სახელოვანი ქართველი მოკრივისა და კრივის პოპულარიზატორის, ენვერ ქელბაქიანის ხსოვნას ვუძღვნი ამ წიგნს".**

კიდევ ერთი მოგონება:

**ვის არ ახსოვს ქართული კრივისა და თბილისის ქუჩების მშვენება, ახოვნად აღნაგი ლევან ლუდუშაური, რომლის მძლეთამძლე ფიგურა არაერთი მხატვრისა თუ მხატვრული ფოტოგრაფიის ოსტატის ობიექტად იქცა. ბრძოლა იყო მისი სტიქია, იგი დაუზარლად იბრძოდა მაშინაც, როცა პედაგოგიურ სარბიელზე გადაინაცვლა. აღსაზრდელებს ასწავლიდა ლამაზი ცხოვრებით ეცხოვრათ. უკურნებელი სენით შეპყრობილი დიდი სპორტსმენი სასიკვდილო სარეცელზე ვნახე უკანასკნელად. არ დაიმჩნია საშინელი ტკივილები, საოცარი მამაკაცური გრაციით წამოიმართა და მესაუბრა თავის სამომავლო გეგმებზე. ასეთად დარჩება იგი ჩემს მეხსიერებაში.**

...ხსოვნა გულისა, ვამბობთ ჩვენ. ხსოვნა გუშინდელი დღისა ნიშნავს წარსულსა და მომავალს შორის გადებულ ხიდს.

# არდავიწყება

# დაღუპულები არ გვისაყვედურებენ...

**რა** უნდა იყოს გარდაცვლილთა გახსენებაზე წმინდა. ქვეყანაზე კაცი არ მეგულება პატივს არ მიაგებდეს მათ ხსოვნას, სადღეგრძელოში თუ ისე, უბრალოდ, საუბრის დროს არ გაიხსენებდეს „ჩვენგან უდროოდ წასულებს"...

ფეხბურთელი ლამაზი ფინტით გაიელვებს და უნებლიედ წამოგვცდება: გახსოვს? შოთამაც ასე იცოდა, „ბასამ", ვიტალიმ...

ვიღაც გულიანად გადაიხარხარებს და — როგორ გურამივით იცინისო, ჩვენი გურამივით, თიკანაძესავითო!.. თან დავაყოლებთ — ამ კაცს ჯვარი წერიაო!..

ხალხმრავალ პროსპექტზე ვიღაცის მზერას დავიჭერთ — როგორა გავს ის ბიჭი მიშა ხერგიანსო! — ვიტყვით.

გახსოვს?.. გახსოვს?.. გახსოვს?... და სულში სიმი გულსაკლავად აგვიჟღერდება...

გზაზე ჭაღარა ქალი შემოგხვდება — ნეტავ ვის მაგონებს ეს ქალიო? — გაიფიქრებ... გაიფიქრებ და გაიხსენებ — ჰო, ალექსანდრა ჯაფარიძეს! ამ ქალსაც ზუსტად იმ სულმნათივით გადუვარცხნია თოვლივით სპეტაკი თმა და... ნაბიჯებიც, ეს მტკიცე ნაბიჯებიც... — შენ დღეგრძელი იყავ, ჭაღარა ქალბატონო!

— რა უნდა იყოს მოყვასის ხსოვნაზე წმინდა და სათუთი?

ორიოდე დღის წინ ჩელიუსკინელების ხიდიდან კიროვის პარკის ციცაბოზე, ხარახოებში ჩასმულ, მიტოვებულ მშენებლობას შევავლე თვალი. აქ ხომ (ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ) დაღუპულ ალპინისტთა მემორიალი უნდა აეშენებინათ?...

— გახსოვს? — შორიდან მეჩურჩულებოდნენ ხარახოები — ალიოშა, სიმონი, ალექსანდრა... მიშა, გურამი... გახსოვს?

ნეტავ მშენებლებს თუ ახსოვთ? თუ არ ახსოვთ, გავახსენებთ:

ამ მემორიალის კომპლექსის პროექტმა კონკურსში 1959 წელს გაიმარჯვა, 11 წლის შემდეგ დაამტკიცეს და თხუთმეტი წლის შემდეგ დაიწყეს... მშენებლობა. დღესაც „აშენებენ" (?).

დაღუპულები ვერ გვისაყვედურებენ, მათ მხოლოდ მოგონება დაგვიტოვეს კაცურ-კაცობის საზომად...

იქნებ მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად შემოღებულმა დღეებმა, ან საბჭოთა ალპინიზმის სამოცი წლისთავმა გაჰკრას და გაახსენოს ვინმეს მივიწყებული მემორიალი?..

მოკვდავნი ვართ, მოკვდავნი...

(შენ კი, ჯვარი გწერია და დღეგრძელი იყავ, მკითხველო!..).

**თ. ჟეიშვილი.**

# სპორტულ მოედნებზე

**საგარეჯოს** რაიონის სოფელ პატარძეულში ჩატარდა საბჭოთა კავშირის გმირის გიორგი ბილანიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში 1967-70 წლებში დაბადებულ მოჭიდავეებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ხარკოვის, ბაქოს, მინგეჩაურის, როსტოკის, ტემერტაუს, სტავროპოლის, თბილისის, ყვარლის, გურჯაანის, მესტიის, დუშეთისა და საგარეჯოს სამასამდე მოჭიდავე.

შეჯიბრების პირველ დღეს ტურნირის მონაწილეებმა მოინახულეს პატარძეულის გმირთა სავანე, ყვავილებით შეამკეს გ. ბილანიშვილის ბიუსტი.

ქართველი ძიუდოისტებიდან ტურნირის ჩემპიონები გახდნენ გ. მეკოკიშვილი, ბ. ბასილაშვილი, ლ. სუკაშვილი, გ. ხოსიტაშვილი, ვ. ჰინჭარაძე. გუნდური პირველი ადგილი და გარდამავალი თასი დაისაკუთრა საგარეჯოს ძიუდოისტთა ნაკრებმა (მწვრთნელი ბ. მარიდაშვილი).

• • •

**ფოთში** სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" ადგილობრივი საბჭოს ინიციატივით გაიმართა საბჭოთა კავშირის გმირის ამირან დანელიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკთა ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში, რომელშიც მონაწილეობდნენ ზუგდიდის, მახარაძის, სამტრედიისა და ფოთის მოჭიდავეები.

ტურნირში I ადგილი დაიკავა „კოლმეურნეს" სამტრედიის რაისაბჭოს გუნდმა (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ნ. მანაგაძე).

# წარსულის ფურცლებიდან

**რევოლუციამდელ** რუსეთში ფიზიკური კულტურა და სპორტი ძირითადად გაბატონებული კლასების წარმომადგენელთა და პროფესიონალთა პრივილეგია იყო. მაშინ მოყვარული სპორტსმენისათვის, განსაკუთრებით კი მცირე ერის წარმომადგენლისთვის, ფართო ასპარეზზე გასვლა და სპორტული წარმატების მოპოვება ძნელი ამოცანა გახლდათ, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე წარმომადგენელმა მაინც შეძლო საერთო აღიარება მოეპოვებინა. აი, ისინიც:

ქებურია — პილოტი, რუსეთის საჰაერო ავიაციის ერთ-ერთი პიონერი.

კ. ავალოვი (კოტე ავალიშვილი) — ცხენოსანი, ლივერპულის სტიპლ-ჩეზის გამარჯვებული 1912 წელს.

გიორგი ეგნატაშვილი —ტანმოვარჯიშე, „პრაღის შევარდენი".

ლ. კავსაძე — ველომრბოლი.

გ. დიდებულიძე — მოფარიკავე და მსროლელი, საიმპერატორო პრიზის მფლობელი.

ეს სახელები კარგად იყო ცნობილი ჩვენი საუკუნის 10-იანი წლების რუსეთის სპორტულ წრეებში...

გიორგი დიდებულიძემ ბავშვობა გორის მაზრის სოფელ ატოცში გაატარა. მან 1911 წელს ვადამდე დაამთავრა პეტროგრადის ოფიცერთა მთავარი ტანვარჯიშულ-საფარიკაო სკოლა და იქვე დატოვეს მასწავლებლად. აქ ასწავლიდნენ იმ დროის გამოჩენილი ოსტატები. ფარიკაობას — კიიავერკი და ზაკოვოროტა, ტანვარჯიშს — ჩეხი ერბენი, მძლეოსნობას — ცნობილი ფრანგი სპორტსმენი ლუსტალო, რომელმაც აღზარდა პირველი საბჭოთა რეკორდსმენები — ალექსეევი, შამანოვა და სხვები.

გ. დიდებულიძემ 1912 წელს რუსეთის ოლიმპიადაზე ფარიკაობაში, სროლასა და ჩეხვაში ოქროს მედლები მოიპოვა.

ოლიმპიადის შემდეგ მან მოიგო საჩვენებელი ორთაბრძოლა იმ დროისთვის ცნობილ შვედ მოფარიკავესთან ემელეუსთან. ეს შეხვედრა გაიმართა გრაფ რიბოპიერის კერძო მძლეოსნურ დარბაზში. მაყურებელი ტიტულოვან უცხოელს გულშემატკივრობდა. მსაჯები არც ისე ობიექტურნი იყვნენ უცნობი პორუჩიკის მიმართ. შეატყო რა საქმეს ცუდი პირი უჩანსო, ახალგაზრდა ოფიცერმა შეაჩერა ბრძოლა და მოითხოვა „პუან დ' არე" — წვეტიანი იარაღი, რომელიც გამორიცხავს ასხლეტილი დარტყმების ჩათვლის შესაძლებლობას (ელექტროფიქსატორი მაშინ არ არსებობდა). ამ შეხვედრის შესახებ გაზეთები წერდნენ, რომ „ორთაბრძოლა მსუბუქად და ლამაზად მოიგო პორუჩიკმა დიდებულიძემ". ეს იყო სენსაცია.



საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მე-11 არმიის შემადგენლობაში თბილისში ჩამოვიდა მისი თანაჯგუფელი პოლკოვნიკი სმირნსკი, რომლის თაოსნობით თბილისში შეიქმნა ტანვარჯიშულ-საფარიკაო სკოლა. სკოლის უფროსად დანიშნეს გ. დიდებულიძე, ერთ-ერთ მასწავლებლად კი მისი თანაჯგუფელი, შესანიშნავი მოფარიკავე ლ. გოლოვნია, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში სპორტის ამ სახეობის განვითარების საქმეში.

მოგვყავს კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც მეტყველებს დიდებულიძის, როგორც მსროლელის მაღალ კლასზე. 1923 წელს კავკასიის არმიის სამხედრო-სპორტულ II ოლიმპიადაზე გ. დიდებულიძე მიიწვიეს როგორც მსაჯი ფარიკაობაში. მაგრამ მეგობრებმა იგი დაითანხმეს უკონკურსოდ მიეღო მონაწილეობა მსროლელთა ასპარეზობაში. მიუხედავად იმისა, რომ მას წლების მანძილზე არ უვარჯიშია და მისი მეტოქეები იყვნენ გამოცდილი ოფიცრები, დიდებულიძემ თითო ოქროსა და ვერცხლის მედლები დაისაკუთრა.

გ. დიდებულიძე გარდაიცვალა 1934 წელს, ფილტვების ანთებით, 46 წლის ასაკში.

**ი. დიდებულიძე.**

• • •

**სურათზე: გიორგი დიდებულიძე (გადაღებულია 1908 წელს).**



**კარგი** ტრადიციები დამკვიდრდა ქუთაისის განათლების საქალაქო განყოფილების სპორტსკოლაში, რომელსაც ახლახან არსებობის 45 წელი შეუსრულდა. ველოსპორტის, ძალოსნობის, ჭადრაკის, სროლის სექციებში წარმატებით მეცადინეობს 600-ზე მეტი მოსწავლე.

ქუთაისელი ველომრბოლები ახლა საქართველოს მოსწავლეთა XXXII სპარტაკიადისათვის ემზადებიან.

• • •

**სურათებზე: ქუთაისელ ველომრბოლთა საგაზაფხულო სტარტები; მწვრთნელი მიხეილ ხარაბაძე ნორჩ სპორტსმენებთან მეცადინეობისას.**

გ. გერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



● ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

# ბულგარელთა წარმატება

## „ბრინჯაო“ — დავით გიგაურსა და გიორგი მაკასარაშვილს

**ბუდაპეშტში** დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. გუნდური გამარჯვება მოიპოვეს ბულგარელმა ფალავნებმა, მათს ანგარიშზეა 5 ოქროსა და 3 ვერცხლის მედალი. მეორე ადგილზე გავიდა საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომელიც ძირითადად ახალგაზრდა სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული.

ჩვენი გუნდის ღირსებას სხვებთან ერთად ორი ქართველი ფალავანი იცავდა — დავით გიგაური (68 კგ) და გიორგი მაკასარაშვილი (82). ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტმა — გიგაურმა მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ასეთივე ჯილდო ერგო მაკასარაშვილსაც, რომელმაც 1980 წლის კონტინენტის ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგი გაიმეორა.

ფინალში გამოდიოდა 4 საბჭოთა მოჭიდავე, ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, ლენინგრადელმა პ. ნანიევმა (90) დაამარცხა ბულგარელი გ. იანჩევი და ოქროს მედალი დაისაკუთრა. წარმატებას მიაღწია ევროპის 1980 წლის ჩემპიონმა, მახაჩყალელმა მ. მაგომედოვმა (100) — მან გადამწყვეტი ორთაბრძოლა წმინდად მოუგო რ. გერკეს (გდრ). II ადგილები დაიკავეს მახაჩყალელმა რ. კარაევმა (57) და ჩებოქსარელმა ი. გრიგორიევმა (62). ისინი ფინალში დამარცხდნენ ბულგარელებთან — ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორ ს. ივანოვთან და ევროპის ჩემპიონ ს. შტერევთან. „ბრინჯაო“ დაისაკუთრეს ორჯონიკიძელმა ვ. ძუგუტოვმა (74) და კიეველმა ბ. ბიგაევმა (+100).

სხვა წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: ა. ახმედოვი (48), ვ. იორდანოვი (52), კ. პენევი (68, სამივე — ბულგარეთი), ს. სეიდი (74, იუგოსლავია), რ. ყარაბაჯაკი (82, თურქეთი) და ი. ბალა (+100, უნგრეთი).

**გუშინ** ბუდაპეშტის სპორტის სასახლეში დაიწყო „კლასიკოსთა“ ტურნირი (საბჭოთა ნაკრებში გამოდის მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი ქუთაისელი თ. აფხაზავა). ამ სახეობაში კონტინენტის ჩემპიონები ხვალ გამოვლინდებიან.

## პორტუგალიელებთან სათამაშოდ

**ევროპის** საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და პორტუგალიის გუნდებს შორის, როგორც ცნობილია, 27 აპრილს გაიმართება მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე.

ჩვენს გუნდს ამ საპასუხისმგებლო მატჩისთვის ამზადებს უფროსი მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი. ნაკრების შემადგენლობაში იმყოფებიან:

**მეკარეები** — რ. დასაევი („სპარტაკი“), ვიქ. ჩანოვი („დინამო“, კიევი);

**მცველები** — ს. ბოროვსკი („დინამო“, მინსკი), ს. ბალტაჩა, ს. ჟურავლიოვი და ა. დემიანენკო („დინამო“, კიევი), ა. ჩივაძე („დინამო“, თბილისი);

**ნახევარმცველები** — ვ. ბესონოვი, ა. ბალი და ლ. ბურიაკი („დინამო“, კიევი), თ. სულაქველიძე („დინამო“, თბილისი), ნ. ლარიონოვი („ზენიტი“), ფ. ჩერენკოვი („სპარტაკი“), ხ. ოჰანესიანი („არარატი“);

**თავდამსხმელები** — ს. როდიონოვი („სპარტაკი“), ვ. ევტუშენკო და ო. ბლოხინი („დინამო“, კიევი), ს. ანდრეევი (ასკ, დონის როსტოვი), რ. შენგელია („დინამო“, თბილისი).

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

**მოგვყავს** სსრ კავშირის 46-ე საფეხბურთო ჩემპიონატის VI ტურის ტექნიკური მონაცემები:

**„ფახთაქორი“ — „ჩერნომორეცი“ 1:2 (0:1).** ოდესელებმა ფინკმა და სახნომ 2 ბურთი გაიტანეს „ფახთაქორის“ კარში, რის შემდეგ იაკიმცევმა შეძლო სხვაობის შემცირება.

გააფრთხილეს „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელები სკრიპნიკი და პოკონიცი.

დუბლიორები — 1:1.

**„არარატი“ — „დინამო“ (მინსკი) 2:0 (2:0).** ორივე ბურთი პირველ ტაიმში გაიტანეს რობ. გალუსტიანმა და საქიანმა.

დუბლიორები — 1:4.

**„მეტალისტი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:1 (1:1).** ტორპედოელი ივანოვის გოლი პირველ ტაიმშივე გაქვითა ბოიკომ.

გააფრთხილეს ტორპედოელი ჩანოვი და ხარკოველი კუზნეცოვი.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: მ. კობიაშვილი (გორი), გ. სეფიაშვილი, ნ. ამირეჯიბი (ორივენი — თბილისი).

დუბლიორები — 2:1.

**„დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ 0:0.**

გააფრთხილეს სპარტაკელები მოროზოვი და ბაზულევი.

დუბლიორები — 2:0.

**„ნეფთჩი“ — „შახტიორი“ 3:1 (1:0).** ბურთები გაიტანეს ბაქოელებმა ახმედოვმა, შიხლაროვმა (2) და დონეცკელმა გრაჩოვმა.

გააფრთხილეს ბაქოელი ყურბანოვი.

**„ზენიტი“ — „ნისტრუ“ 4:1 (2:0).** ზენიტელთაგან ბურთები გაიტანეს გერასიმოვმა, ქელუდკოვმა და კაზაჩონოკმა (2), ხოლო „ნისტრუს“ მხრივ — ტურიანსკიმ.

დუბლიორები — 2:0.

**„დინამო“ (კიევი) — ცსკა 1:0 (1:0).** ბურთი 24-ე წუთზე გაიტანა მიხაილიჩენკომ.

გააფრთხილეს მოსკოველი სამოხინი და კიეველი დემიანენკო.

დუბლიორები — 3:0.

● განვლილი ტური ყველაზე უფრო შედეგიანი იყო მიმდინარე ჩემპიონატში (24 გატანილი ბურთი), საშუალო შედეგიანობა გაიზარდა 2,10 გოლამდე.

● ბომბარდირთა შორის წინ არიან ერევნელი ხ. ოჰანესიანი და მოსკოვის ტორპედოელი ვ. პეტრაკოვი, რომლებმაც გაიტანეს 5-5 ბურთი. ზენიტელმა ვ. კაზაჩონოკმა — 4.

● ამ ტურში მოხდა ყველაზე მეტი დარღვევა: გაფრთხილება მიიღო 14 ფეხბურთელმა, მეორედ გააფრთხილეს მიმდინარე სეზონში სამოხინი (ცსკა), კუზნეცოვი („მეტალისტი“) და კურტანიძე („ტორპედო“, ქუთაისი).

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

#### დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 23 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ მნ. | 6 | 4 | 1 | 1 | 14—7 | 9 |
| „დინამო“ მ. | 5 | 4 | 1 | 0 | 7—1 | 9 |
| „დინამო“ კ. | 5 | 4 | 0 | 1 | 16—4 | 8 |
| ცსკა | 6 | 3 | 2 | 1 | 11—6 | 8 |
| „დინამო“ თბ. | 6 | 3 | 2 | 1 | 6—3 | 8 |
| „ფახთაქორი“ | 6 | 3 | 2 | 1 | 10—8 | 8 |
| „მეტალისტი“ | 5 | 3 | 1 | 1 | 8—5 | 7 |
| „სპარტაკი“ | 5 | 3 | 0 | 2 | 8—8 | 6 |
| „ზენიტი“ | 6 | 3 | 0 | 3 | 7—8 | 6 |
| „არარატი“ | 6 | 3 | 0 | 3 | 8—14 | 6 |
| „დნეპრი“ | 6 | 2 | 2 | 2 | 9—7 | 6 |
| „ჩერნომორ.“ | 5 | 2 | 1 | 2 | 7—6 | 5 |
| „ნეფთჩი“ | 6 | 2 | 1 | 3 | 6—8 | 5 |
| „ჟალგირისი“ | 6 | 2 | 0 | 4 | 10—11 | 4 |
| „შახტიორი“ | 6 | 1 | 0 | 5 | 3—7 | 2 |
| „ტორპედო“ ქ. | 6 | 1 | 0 | 5 | 5—15 | 2 |
| „ტორპედო“ მ. | 6 | 1 | 0 | 5 | 4—14 | 2 |
| „ნისტრუ“ | 5 | 0 | 1 | 4 | 3—10 | 1 |

## I ლიგა

**20 აპრილს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის კალენდარული მატჩები.

ლანჩხუთის „გურია“ ხაბაროვსკში შეხვდა ადგილობრივ არმიელთა გუნდს და მარცხი განიცადა ანგარიშით 0:3.

სხვა შეხვედრები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „დნეპრი“ (მოგილიოვი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:1, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 4:0, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 2:2, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:1, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 1:0, „დინამო“ (კიროვი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 1:2, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ზვეზდა“ (ჯიზაკი) 4:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „პამირი“ (დუშანბე) 2:0, „ქაირათი“ (ალმა-ათა) — ასკ (დონის როსტოვი) 2:1, ასკ-„კარპატი“ (ლვოვი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია“ | 4 | 3 | 0 | 1 | 10—3 | 6 |
| „ქაირათი“ | 3 | 3 | 0 | 0 | 6—1 | 6 |
| „მეტალურგი“ | 4 | 2 | 2 | 0 | 9—4 | 6 |
| „კოლოსი“ | 4 | 2 | 2 | 0 | 7—4 | 6 |
| ასკ ხ. | 3 | 2 | 0 | 1 | 4—1 | 4 |
| „კუზბასი“ | 4 | 2 | 0 | 2 | 6—4 | 4 |
| „როტორი“ | 4 | 2 | 0 | 2 | 6—4 | 4 |
| ასკ რ. | 4 | 2 | 0 | 2 | 5—3 | 4 |
| ასკ.-„კარპ.“ | 3 | 2 | 0 | 1 | 3—1 | 4 |
| „ლოკომოტ.“ | 4 | 2 | 0 | 2 | 3—3 | 4 |
| „ფაკელი“ | 4 | 2 | 0 | 2 | 2—3 | 4 |
| „გურია“ | 4 | 2 | 0 | 2 | 2—6 | 4 |
| „დინამო“ | 4 | 1 | 2 | 1 | 4—2 | 4 |
| „ისკრა“ | 3 | 1 | 1 | 1 | 6—3 | 3 |
| „დაუგავა“ | 3 | 1 | 1 | 1 | 5—5 | 3 |
| „პამირი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 2—4 | 3 |
| „ზვეზდა“ | 4 | 1 | 1 | 2 | 2—5 | 3 |
| „ყუბანი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 2—6 | 3 |
| „დნეპრი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 5—10 | 3 |
| „ტექსტილშ.“ | 4 | 0 | 2 | 2 | 4—10 | 2 |
| „ტავრია“ | 3 | 0 | 1 | 2 | 4—7 | 1 |
| „შინიკი“ | 4 | 0 | 1 | 3 | 0—8 | 1 |

## ევროპის საკლუბო ტურნირები

**გასულ** ოთხშაბათს გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირების საპასუხო ნახევარფინალური მატჩები, გამოვლინდნენ ფინალურ შეხვედრათა მონაწილენი.

**ჩემპიონთა თასი.** პოლონეთის ქალაქ ლოძში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ვიძევი“ და იტალიის „იუვენტუსი“. პირველი შეხვედრა იტალიელებს მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 2:0, ამიტომ საპასუხო მატჩში და ისიც სტუმრად, მათ სავსებით ხელს აძლევდათ ფრე და თამაშიც ასე დამთავრდა — 2:2. პოლონელთაგან ორივე ბურთი გაიტანა ნახევარმცველმა სურლიტმა, ხოლო „იუვენტუსის“ მხრივ — როსიმ და პლატინიმ (პენალტით).

დასავლეთ გერმანიის „ჰამბურგისა“ და ესპანეთის ქალაქ სან-სებასტიანის „რეალის“ შეხვედრა მიმდინარეობდა უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში. ჰამბურგელებმა პირველ მატჩში სტუმრად ქულა აიღეს (1:1), ახლა კი გაიმარჯვეს — 2:1 და გავიდნენ ფინალში. ანგარიში გახსნა დასავლეთგერმანელთა მცველმა იაკობსმა, საპასუხო ბურთი გაიტანა ბაკერომ, ხოლო გადამწყვეტი — ჰეესენმა.

**ამრიგად, ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდნენ „იუვენტუსი“ და „ჰამბურგი“. გადამწყვეტი მატჩი 25 მაისს გაიმართება საბერძნეთის დედაქალაქ ათენში.**

**თასების თასი.** მადრიდის „რეალისა“ და ვენის „აუსტრიას“ მატჩს ესპანელთა სტადიონზე დაესწრო 75 ათასი მაყურებელი. „რეალს“ დიდი უპირატესობა ჰქონდა და გამარჯვებაც მას დარჩა — 3:1.

შოტლანდიის „აბერდინისა“ და ბელგიის „ვატერსჰეის“ პირველი შეხვედრა შოტლანდიელებმა შინ მოიგეს ანგარიშით 5:1 და, თუმცა „ვატერსჰეიმ“ საპასუხო მატჩში რევანში აიღო — 1:0, ორი მატჩის ჯამში გაიმარჯვეს შოტლანდიელებმა.

**11 მაისს შვეციის ქალაქ გეტებორგში შედგება თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩი: „აბერდინი“ (შოტლანდია) — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი).**

**უეფა-ს თასი.** რუმინეთის „უნივერსიტატიას“ და პორტუგალიის „ბენფიკას“ პირველი მატჩი ფრედ აღინიშნა — 0:0. განმეორებითი შეხვედრა რუმინელთა მინდორზე აგრეთვე ფრედ დამთავრდა — 1:1, მაგრამ მეტოქის მინდორზე გატანილმა ბურთმა, რომელიც ასეთ შემთხვევებში ორმაგად ფასობს, გამარჯვება მოუტანა „ბენფიკას“.

ბელგიის „ანდერლეხტის“ ფეხბურთელებმა ჩეხოსლოვაკიის „ბოჰემიანსთან“ ორივე მატჩი მოიგეს — 1:0 და 3:1 და გავიდნენ ფინალში.

**უეფა-ს თასის ფინალური მატჩები 4 და 18 მაისს გაიმართება ბელგიის „ანდერლეხტისა“ და პორტუგალიის „ბენფიკას“ მინდვრებზე.**

●

### გათამაშების ტაბლო

#### ჩემპიონთა თასი

ნახევარფინალები

**„ჰამბურგი“ (გფრ) — „რეალი“** (სან-სებასტიანი, ესპანეთი) 2:1 (1:1).

„ვიძევი“ (პოლონეთი) — **„იუვენტუსი“ (იტალია)** 2:2 (0:2).

#### თასების თასი

ნახევარფინალები

„ვატერსჰეი“ (ბელგია) — **„აბერდინი“ (შოტლანდია)** 1:0 (1:5).

**„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი)** — „აუსტრია“ (ავსტრია) 3:1 (2:2).

#### უეფა-ს თასი

ნახევარფინალები

„უნივერსიტატია“ (რუმინეთი) — **„ბენფიკა“ (პორტუგალია)** 1:1 (0:0).

**„ანდერლეხტი“ (ბელგია)** — „ბოჰემიანსი“ (ჩეხოსლოვაკია) 3:1 (1:0).

**შენიშვნა:** ხაზგასმულია გუნდები, რომლებიც ერთმანეთს შეხვდებიან ფინალში.

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

**20 აპრილს** დაიწყო საკავშირო გათამაშება ფეხბურთში II ლიგის IX ზონის გუნდებს შორის. სტადიონებზე, სადაც შედგა პირველი მატჩები, მოეწყო საზეიმო გახსნა, გუნდების კაპიტნებმა აღმართეს ალმები.

**„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 1:0 (0:0).**

პირველივე ტურში ერთმანეთს ძლიერი მეტოქეები შეხვდნენ, ამიტომ მათი მატჩი შეუპოვარი და დაძაბული გამოდგა. სტუმრები თავგამოდებით იბრძოდნენ, ხოლო მათს დაცვას მძიმე დატვირთვის გადატანა მოუხდა. ხშირად ერთვოდა თამაშში მეკარე გალოიანი, რომელმაც მოიგერია გერაძის, ბაბუნიძისა და სხვათა სახიფათო დარტყმები. შესვენებისთვის ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში სპარტაკელებმა რამდენიმე შეტევა განავითარეს და ახლა უკვე მასპინძელთა მცველებს მოუხდათ სრული ძალით თამაში. შემდგომში უპირატესობა კვლავ „ლოკომოტივმა“ ჩაიგდო ხელთ, ერთ-ერთი იერიში წამოიწყო მცველმა დანელიამ, კომბინაცია გააგრძელა ბაბუნიძემ და ზუსტი დარტყმით დაამთავრა შენგელიამ — 1:0.

შემდგომში სამტრედიელ ფეხბურთელებს მეტიც შეეძლოთ, მაგრამ კვლავ საიმედოდ ითამაშეს მეკარე გალოიანმა და მცველებმა.

გათამაშების პირველი ბურთის გატანისთვის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა ვ. შენგელია, ხოლო მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს ბ. დანელია („ლოკომოტივი“) და გ. ბალადიანი („სპარტაკი“).

სამტრედიის „ლოკომოტივმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ორდენიძე, დანელია, შულიაევი, დემეტრაშვილი, ცუცქირიძე, მიქაძე (კვარაცხელია), ბაბუნიძე (კოხრეიძე), გერაძე, კარანაძე, შენგელია, დვალიშვილი.

**ა. ხირაძე.**
**(ჩვენი კორ.).**

## II ლიგა

**„დინამო“ (ბათუმი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 1:0 (0:0)**

ბათუმელი და ლენინაკანელი ფეხბურთელები კარგად იცნობენ ერთმანეთს, ამიტომ თამაში მათ დაიწყეს უდაზვერვოდ, ხშირი ორმხრივი იერიშებით. ერთხანს უპირატესობა „შირაკის“ მხარეს იყო, ხოლო შემდეგ შეტევაზე დინამოელები გადავიდნენ. ხელსაყრელი მდგომარეობა ვერ გამოიყენა ჩელებაძემ, კედელაძის ძლიერი დარტყმა კი ძელს მოხვდა.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა ენერგიულად, აქტიურად შეუტიეს. გორგილაძეს, ჩელებაძეს, მაქიროვს და სხვებს ზედიზედ მიეცათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, გოლი კი არ ჩანდა.

მიმდინარეობდა მატჩის ბოლო, 90-ე წუთი, როცა დინამოელმა გელაჰეიშვილმა მარცხენა ფლანგიდან მოაწოდა კუთხური. ლენინაკანელთა კარის წინ ყველას დაასწრო ჩელებაძემ და თავით გაიტანა გადამწყვეტი გოლი — 1:0.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეთა პრიზები გადაეცათ ბათუმელ რ. ჩელებაძეს და ლენინაკანელ ა. აკიმიანს.

**ო. მურვანიძე.**
**(ჩვენი კორ.).**

• • •

პირველ ტურში წარმატებით ითამაშეს საქართველოს სხვა გუნდებმაც: სოხუმის დინამოელებმა ნახიჩევანში ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ადგილობრივი „არაზი“, მახარაძის „მერცხალმა“, ასევე სტუმრად, მოუგო არტაშატის „ოლიმპიას“, გორის „დილამ“ კიროვაბადში ფრედ ითამაშა „ქიაფაზთან“ — 1:1, ფოთის „კოლხეთმა“ კი ასეთივე ანგარიშით დაამთავრა შეხვედრა სტეფანაკერტში „ყარაბახთან“.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „მეშახტე“ (ტყიბული) — 1:0, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) 2:0.

### სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 23 აპრილი.** „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. **„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი).** დასაწყისი 17 ს., სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონი. **პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ავტომობილისტი“ (თბილისი).** 17 ს. **24 აპრილი.** გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. **„ავიატორი“ (თბილისი) — „არმაზი“ (მცხეთა).** 18 ს.

GENS UNA SUMUS

## მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები

●

### ალიკანტეში

**ნ. ალექსანდრიასა** და ტ. ლემაჩკოს მატჩის მერვე პარტია ყაიმით დამთავრდა. მატჩის ანგარიშია 5:3 ქართველი დიდოსტატის სასარგებლოდ. ალექსანდრიას ნახევარფინალის საგზურის მოსაპოვებლად დარჩენილ ორ პარტიაში ყაიმიც ყოფნის.

რიბლიმ „ტაიმ-აუტი" აიღო. ამიტომ ე. ტორესთან მატჩის მერვე პარტია გადატანილია.

გუშინ ორივე მატჩში მორიგი პარტიები უნდა გათამაშებულიყო.

### ...ფელდენში

**ნახევარფინალის** საგზური წილად ხვდა ვ. სმისლოვს. ასე გადაწყდა წილისყრაზე, რომელიც მოეწყო სმისლოვ—ჰიუბნერის მატჩის ყაიმით (7:7) დამთავრების შემდეგ.

ნახევარფინალში სმისლოვი შეხვდება რიბლისა და ტორეს მატჩში გამარჯვებულს.

## საიუბილეო ჩემპიონატი

**ერთდღიანი** დასვენების შემდეგ, გუშინწინ სსრ კავშირის საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატის მონაწილეებმა XIII ტურის შეხვედრები გამართეს.

ბრძოლა ისე გამძაფრდა, რომ ტურის ბოლოსთვის მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა. პეტროსიანმა პირველი მარცხი აგემა პოლუგაევსკის, ხოლო აზმაიფარაშვილი და ფსახისი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები, მათ შორის კარპოვ — ბელიავსკის შეხვედრა, დაუმთავრებელი დარჩა.

დასვენების დღეს აზმაიფარაშვილმა წააგო აგზამოვთან მეცხრე ტურიდან გადადებული პარტია.

13 ტურის შემდეგ ლიდერებს ა. კარპოვს (მოსკოვი) და ლ. ფსახისს (კრასნოიარსკი) 7-7 ქულა აქვთ.

## ნახევარი გზა გავლილია

**თბილისში** გრძელდება „დინამოს" X საკავშირო სპარტაკიადის მოჭადრაკეთა ტურნირი, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობს.

6 ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო მოსკოვის გუნდმა — 17,5 ქულა. სომხეთისა და უზბეკეთის გუნდებს 13-13 ქულა და ორ-ორი გადადებული პარტია აქვთ, საქართველოს ნაკრებს — 12, რსფსრ-ს, უკრაინისა და ბელორუსიის გუნდებს — 9,5-9,5.

VI ტურში საქართველოს მოჭადრაკეები შეხვდნენ „დინამოს" ნაკრებს. ოთხივე პარტია (გ. ზაიჩიკი — გ. ტიმოშჩენკო, ე. უბილავა — ვ. პერესიპკინი, ე. გუფელდი — რ. იაკობაშვილი, ქ. არახამია — ტ. ზატულოვსკაია) ყაიმით დამთავრდა.

სხვა მატჩების შედეგები: მოსკოვი — აზერბაიჯანი 3:1, ლენინგრადი — ყაზახეთი 3,5:0,5, უზბეკეთი — სომხეთი 2:1 (1), რსფსრ — მოლდავეთი 1:1 (2), ბელორუსია — უკრაინა 1,5:0,5 (2).

**გ. ფამილიანტი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

## გიორგი ნასყიდაშვილი



ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ბაიდარებით საწყლოსნო სლალომში, მიუნხენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე, ჩვენი ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი და ორგზის თასის მფლობელი გიორგი მიხეილის ძე ნასყიდაშვილი.

სპორტში მეცადინეობა გიორგი ნასყიდაშვილმა მშობლიურ მცხეთაში დაიწყო. იგი სსრ კავშირის სპორტის ოსტატი გახდა ბაიდარებით ნიჩბოსნობაში და მალე მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება. იგი გახდა ქვეყნის № 1 სპორტსმენი და ერთადერთი ვაჟი, რომელმაც მიუნხენის ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვა. დიდხანს იყო სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კომორგი. 1977 წლამდე გამოდიოდა სპორტის ამ ურთულეს სახეობაში გამართულ მსოფლიო პირველობასა და საერთაშორისო შეჯიბრებებში, სადაც არაერთხელ მოუპოვებია თვალსაჩინო წარმატება. შემდეგ გ. ნასყიდაშვილმა მწვრთნელად დაიწყო მუშაობა სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივში", რომელთანაც მას მთელი სპორტული ბიოგრაფია აკავშირებდა. ახალგაზრდა მწვრთნელმა ჩვეული მონდომებით მოჰკიდა ხელი ახალ საქმეს.

მისი ხელმძღვანელობით საქართველოს სლალომისტებმა მრავალი გამარჯვება და საპრიზო ადგილი მოიპოვეს საკავშირო პირველობებსა და თასის გათამაშებებში. გიორგის ღრმად სჯეროდა, რომ საქართველოს მჩქეფარე მდინარეები ჩინებულ შესაძლებლობას იძლევა სანიჩბოსნო სლალომის განვითარებისათვის, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ოცნებობდა შეექმნა კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა და მთელი ცოდნა-გამოცდილება ქართველი ბიჭებისთვის გადაეცა. ვაგლახ, რომ არ დასცალდა, — 36-ე გაზაფხულზე შეწყდა მთის მდინარესავით დაუდეგარი ადამიანის სიცოცხლე.

შესანიშნავი მეოჯახისა და მამის, ჩინებული მეგობრის, სიკეთით და ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარულით გულაღსავსე სპორტსმენისა და ახალგაზრდობის აღმზრდელის ნათელი სახე მარად დარჩება იმ მრავალრიცხოვან ადამიანთა მეხსიერებაში, რომლებიც მას იცნობდნენ.

**საქართველოს სპორტკომიტეტი, ნიჩბოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია, „ლოკომოტივის" საგზაო საბჭო.**

● ჭადრაკი



**თბილისში მიმდინარეობდა ნორჩ ქიმიკოსთა XVII საკავშირო ოლიმპიადა, რომლის მონაწილეთა შორის ჭადრაკის მოყვარულნიც იყვნენ. ოლიმპიადის ორგანიზატორებმა სწორედ მათთვის მოაწყვეს დიდოსტატ ნინო გურიელის ერთდროული თამაშის სეანსი.**

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე: ნ. გურიელს ეთამაშებიან ნორჩი ქიმიკოსები.**

**ს. ვართანესოვის ფოტო.**

## ცხაკაიასა და ტყიბულში

**დასასრულს** მიუახლოვდა ტურნირები ცხაკაიასა და ტყიბულში.

ცხაკაიაში საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალში 15 ტურის შემდეგ ლიდერობენ ზ. ხვედელიძე (სამტრედია) — 13,5 ქულა, მ. ცხვედიანი (ქუთაისი), ქ. გოგია (ცხაკაია) — 12,5-12,5, მ. ჩაჩიბაია (ცხაკაია) — 11,5 და ლ. ლეჟავა (სამტრედია) — 11.

ლიდერების შეხვედრებში ხვედელიძემ სძლია ჩაჩიბაიასა და გოგიას, ლეჟავამ — გოგიას.

ტურნირის დამთავრებამდე დარჩა ორი ტური.

ტყიბულში საქართველოს I ლიგის ვაჟთა ჩემპიონატის 12 ტური გათამაშდა. დაწინაურებულთა ჯგუფში არიან მ. ჰიპაშვილი (თბილისი) — 10, გ. ტყებუჩავა (ცხაკაია) — 9,5, რ. დადიანი (სოხუმი) — 8,5, დ. გედევანიშვილი, ვ. ვეფხვიშვილი (ორივე — თბილისი) — 8-8.

ბოლო ტურებში ორჯერ დამარცხდა ოსტატი გედევანიშვილი გ. გოგიჩაიშვილსა და ტყებუჩავასთან. სხვათა შორის, ტყებუჩავასთვის ეს იყო ზედიზედ მეშვიდე მოგება.

შეჯიბრების დამთავრებამდე დარჩა სამი ტური.

## პირველად მესამე ადგილზე

**ცხინვალში** დამთავრდა საქართველოს ნორჩ მოჭადრაკეთა 32-ე სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ერთ-ერთი შესარჩევი შეჯიბრება.

ტურნირში 11 გუნდი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა რუსთავის, II — გორის, ხოლო III — ცხინვალის კოლექტივებმა.

აღსანიშნავია, რომ ცხინვალის გუნდი (მწვრთნელი ვ. გობოზოვი) პირველად გამოვიდა საპრიზო ადგილზე. განსაკუთრებით ისახელა თავი (მესამე დაფაზე) მე-5 საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლემ, პირველთანრიგოსანმა ტატო ურჯუმელაშვილმა — 9,5 ქულა 10-დან.

**ვ. ბასიევი.**

## სტუდენტური დღეები-83

### ● კალათბურთი

**მრავალი** სპორტული ღონისძიება ეწყობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

19 აპრილს გაიმართა შეჯიბრება კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ მასწავლებლები და სტუდენტები. ეს შეხვედრა იმითაც იყო საინტერესო, რომ უნივერსიტეტის ქალთა ყოფილი ნაკრები ეთამაშა ახლანდელს. ამ შეხვედრას „თაობათა გადაძახილი" უწოდეს.

ვეტერანთა გუნდში მონაწილეობდნენ სპორტის ოსტატები, უფროსი მასწავლებლები: ნუნუ ებანოიძე (გუნდის კაპიტანი), სვეტლანა ნარიმანიძე, ზინა მუშკუდიანი, დოცენტი ეთერ გელაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი ეთერ ჯაფარიძე, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ლაბორანტი გულნარა ლოჩოშვილი, ისტორიის ფაკულტეტის უფროსი ლაბორანტი იზოლდა ფილიშვილი, ფიზაღზრდის მასწავლებელი ვიოლეტა ჩხეიძე. ვეტერანთა გუნდის მწვრთნელია სპორტის ოსტატი ლამარა გენგაშვილი, ახლანდელი ნაკრებისა — გივი ჩახავა.

შეხვედრას მსაჯობდნენ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი ლევან ძნელაძე და ისტორიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი გია ჯავახიშვილი.

პირველი ტაიმი 5 ქულით მოიგეს ვეტერანებმა, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება ახალგაზრდებს ხვდათ წილად — 42:40.

**მ. ბაბუნაშვილი,**
**თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.**

### ● კროსი

**ჩვენს** რესპუბლიკაში გრძელდება სტუდენტთა დღეები—83, რომელსაც მრავალი საინტერესო ასპარეზობა ეძღვნება, ერთ-ერთი მათგანი კი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კროსისა და ძალოსნობის კათედრის თაოსნობით რომ გაიმართა, მთლიანად კროსს მიეძღვნა. სასწავლებლის კროსის დარბაზს ეწვივნენ კროსის ვეტერანები, კერძოდ კი ისინი, რომელთა დიდი მცდელობით ჩვენში ეს საინტერესო სახეობა დაინერგა — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. გასპარიანი, თ. ფურცელაძე (იგი წლების განმავლობაში სათავეშიც ედგა კროსის რესპუბლიკურ ფედერაციას). მათთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის ექსჩემპიონები და პრიზიორები შ. გორგასლიძე, ა. ნავასარდოვი, თ. მიქაელიანი...

ინსტიტუტის სტუდენტებმა რინგზე გამართეს შეხვედრები, რომელიც 74-ე სახლმმართველობის შ. გორგასლიძის სახელობის კლუბის (მწვრთნელი რ. ნამიჭეიშვილი) და „ბურევესტნიკის" ბავშვთა და მოზარდთა კროსის სპორტსკოლის აღსაზრდელთა გამოსვლებმა დააგვირგვინა. გაიმარჯვეს შ. გორგასლიძის კლუბის წარმომადგენლებმა — 7:1.

დასასრულ სტუმრებს ეკრანზე უჩვენეს „ოლიმპიადა-80"-ის მოკრივეთა ტურნირის დოკუმენტური ფილმი.

ამავე დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის დარბაზში უნივერსიტეტელებმა უმასპინძლეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოკრივეებს.

**დ. ქოიავა.**

## პანორამა

### ● კალათბურთი

**სსრ კავშირის** ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა, რომელიც საფრანგეთის ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება (26 მაისი — 4 ივნისი), გფრ-ის ქალაქ გეტინგენში ამ ქვეყნის ნაკრებ გუნდთან ამხანაგური მატჩი გაიმართა და გაიმარჯვა 91:74 (49:30). საუკეთესოდ ითამაშეს საბონისმა (20 ქულა) და ბელოსტენიმ (15). მეტოქეები კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს — ბრემერჰაფენის ტურნირში. მათთან ერთად გამოვლენ შვეციისა და პოლონეთის გუნდები. საინტერესოა, რომ ოთხივე გუნდი ევროპის ჩემპიონატის მონაწილეა, გარდა ამისა, გფრ-ისა და პოლონეთის გუნდები ერთ ჯგუფში გამოვლენ საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად.

### ● ველორბოლა

**კასაბლანკაში** ფინიში ჰქონდა მაროკოს გზებზე გამართულ საერთაშორისო ველორბოლას, რომელშიც გაიმარჯვა გდრ-ის ნაკრებმა და მისმა წარმომადგენელმა ა. პეტერმანმა. საბჭოთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მხოლოდ ტრეკზე რბოლის ოსტატები, საერთო ჩათვლაში მეოთხე ადგილზე გავიდა, პირად ჩათვლაში ასევე მეოთხე იყო ოდესელი ი. ლუპოლენკო. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 11 ქვეყნის ველოსიპედისტები.

### ● თანამედროვე ხუთჭიდი

**მსოფლიო** ჩემპიონმა იტალიელმა დ. მასალამ გაიმარჯვა რომში დამთავრებულ დიდ საერთაშორისო ტურნირში. მან 5397 ქულა მოაგროვა. მეორე და მესამე ადგილებზეც მასპინძლები კ. მასულო (5364) და პ. კრისტოფორი (5347 გავიდნენ. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო კიეველი ვ. კირიენკო მეოთხე ადგილზე დარჩა — 5339 ქულა. იტალიელებმა გაიმარჯვეს გუნდურ ჩათვლაშიც — 16108 ქულა. მეორე იყო საბჭოთა გუნდი — 15876 ქულა.

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 16 აპრილს გამართული „სპორტლოტოს" მორიგი, მე-16 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 49"-დან:** ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (32 ბარათი) მოგება 1238 მანეთია, ოთხისთვის (1132 ბარათი) — 41, სამისთვის (17622 ბარათი) — 4.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (7 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (1930 ბარათი) —148, სამისთვის (67766 ბარათი) — 8.

მოგებული თანხის განაღდება— 27 აპრილიდან 27 მაისის ჩათვლით.

● ჰოკეი

## ერთპიროვნული ლიდერი

**გფრ-ის** ქალაქებში გრძელდება ჰოკეისტთა გუნდების მსოფლიოს 49-ე ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.

საბჭოთა გუნდმა მეოთხე შეხვედრა ჩაატარა და მეოთხე გამარჯვება იზეიმა, ამჯერად „მშრალი" ანგარიშით დაამარცხა გფრ-ის გუნდი— 6:0. შვეციამ დაამარცხა გდრ — 5:4. პირველი გამარჯვება მოიპოვეს ფინელმა ჰოკეისტებმა, რომლებმაც სძლიეს იტალიელებს — 6:2. კანადელებმა პირველი დამარცხება აგემეს ჩეხოსლოვაკიელებს 3:1.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 22 აპრილისთვის**

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 4 | 0 | 0 | 20—2 | 8 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 0 | 1 | 15—7 | 6 |
| შვეცია | 3 | 0 | 1 | 14—11 | 6 |
| კანადა | 2 | 0 | 2 | 13—12 | 4 |
| გფრ | 2 | 0 | 2 | 9—14 | 4 |
| ფინეთი | 1 | 0 | 3 | 11—13 | 2 |
| გდრ | 1 | 0 | 3 | 8—15 | 2 |
| იტალია | 0 | 0 | 4 | 3—19 | 0 |

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

საქართველოს რეგბის ფედერაცია, „ლოკომოტივის" საგზაო საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სსრ კავშირის ნაკრების წევრი, სპორტის ოსტატი

**ფრიდონ გიორგის ძე ზურაბიანი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 07543